

შპს “იმერ-გლასს კომპანი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს “იმერ-გლას კომპანი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	11
დასკვნის ბოლო გვერდი	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “იმერ-გლას კომპანი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „შპს იმერ-გლას კომპანი“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების შესახებ და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ასევე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი სრულყოფილი პირველადი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულებების სისწორეს. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების ღირებულების სისწორეში, არსებობაში და სისრულესა. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 4,418,360 ლარს, 2,639,991 ლარსა და 1,453,323 ლარს. გარდა ამისა, 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას არ ჩაუტარებია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არსებობაში, სისწორეში, სისრულესა და შეფასებაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 5,873,912 ლარს, 5,484,409 ლარსა და 4,574,354 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლში შემავალ რამდენიმე დებიტორული ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 500,967 ლარს, 275,881 ლარსა და 171,048 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები გაცემული ავანსების მუხლში შემავალ რამდენიმე კონტრაქტის ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 46,549 ლარს, 702,249 ლარსა და 47,827 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას არ აქვს შემუშავებული საეჭვო და უიმედო მოთხოვნების დათვლისა და აღრიცხვის პოლიტიკა, შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის კომპანიას არ განუხორციელებია საეჭვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშება. აქედან გამომდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ არის მის ფასს სტანდარტის შესაბამისად აღრიცხული.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში შემავალ რამდენიმე კონტრაქტის ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 176,619 ლარს, 367,241 ლარსა და 85,953 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ინფორმაცია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ საგადასახადო ვალდებულების, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე არსებულ, გადამხდელთა პირად საგადასახადო ბარათის მონაცემებთან რეკონსილაციის შედეგად გამოვლენილ სხვაობებზე და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები საგადასახადო ვალდებულების სისწორეზე 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 772,750 ლარს, 641,101 ლარსა და 421,337 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება საინვესტიციო ქონების ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ალტერნატიური პროცედურებით ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით საინვესტიციო ქონების ღირებულების სისწორეში, რადგან სრულყოფილად ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი პირველადი დოკუმენტაცია. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 738,165 ლარს, 680,288 ლარსა და 463,850 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებაში მოახდინა შესადრისი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მონაცემების ცვლილება, რომელიც სტანდარტების შესაბამისად არ არის განმარტებული ფინანსურ ანგარიშგებაში. ასევე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომ ფინანსური ანგარიშგების შესადრისი მონაცემების ცვლილება განხორციელდა სწორი თანხებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე კორექტირებების შეტანა.

სხვა გარემოება

აღნიშნული აუდიტი კომპანიისთვის წარმოადგენს პირველ აუდიტს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. როგორც აღწერილია ზემოთ - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“- ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შპს „იმერ-გლასს კომპანი“-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსათქმელად. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას.

თუმცა, აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები, პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება, არის მანუჩარ დვალი.

მანუჩარ დვალი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

28 თებერვალი, 2024 წ.
თბილისი, საქართველო

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება, არის მანუჩარ დვალი.

მანუჩარ დვალი



შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

28 თებერვალი, 2024 წ.
თბილისი, საქართველო



შპს იმერ-გლასს კომპანი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	4,418,360	2,639,991	1,453,323
არამატერიალური აქტივები		460	760	1,060
საინვესტიციო ქონება	5	738,165	680,288	463,850
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,156,986	3,321,039	1,918,233
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	88,721	167,212	92,381
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,364,341	934,096	1,130,802
გაცემული ავანსები	8	80,369	776,180	63,652
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	5,873,912	5,484,409	4,574,354
		7,407,343	7,361,896	5,861,188
სულ აქტივები		12,564,329	10,682,935	7,779,421
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	10	4,103,968	4,038,177	2,403,956
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,103,968	4,038,177	2,403,956
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	11	306,646	41,470	355,148
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	450,655	945,495	442,903
საგადასახადო ვალდებულება	13	772,750	641,101	421,337
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	10	270,199	548	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,800,251	1,628,613	1,219,388
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	1,730,963	1,147,770	705,770
გაუნაწილებელი მოგება		4,929,147	3,868,375	3,450,308
სულ კაპიტალი		6,660,109	5,016,145	4,156,078
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,564,329	10,682,935	7,779,421

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 28 თებერვალს.

დირექტორი:

კახაბერ იდამე

მთავარი ბუღალტერი:

ნოდარ ჩოგოვამე

გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

შპს იმერ-გლასს კომპანი
სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	15	9,802,127	9,924,847
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16	(8,125,611)	(7,538,839)
საერთო მოგება		1,676,516	2,386,008
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(776,670)	(638,915)
ფინანსური ხარჯი		(449,915)	(232,379)
ფინანსური შემოსავალი		818	3,576
სხვა შემოსავალი	18	297,111	111,251
სხვა ხარჯი		(13,054)	(923)
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	19	325,964	77,695
წლის სრული შემოსავალი მოგების გადასახადამდე		1,060,771	1,706,312
მოგების გადასახადი		-	(228,245)
წლის სრული შემოსავალი		1,060,771	1,478,067

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 28 თებერვალს.

დირექტორი:

კახაბერ იდამე

მთავარი ბუღალტერი:

ნოდარ ჩოგოვაძე

გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

შპს იმერ-გლასს კომპანი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
01-იან-2020	255,770	3,552,773	3,808,543
კაპიტალის ზრდა	1,465,000	-	1,465,000
კაპიტალის შემცირება	(1,015,000)	-	(1,015,000)
დივიდენდი	-	(650,000)	(650,000)
პერიოდის შედეგი	-	547,536	547,536
31-დეკ-2020	705,770	3,450,308	4,156,078
კაპიტალის ზრდა	3,152,000	-	3,152,000
კაპიტალის შემცირება	(2,710,000)	-	(2,710,000)
დივიდენდი	-	(1,060,000)	(1,060,000)
პერიოდის შედეგი	-	1,478,067	1,478,067
31-დეკ-2021	1,147,770	3,868,375	5,016,145
კაპიტალის ზრდა	3,363,496	-	3,363,496
კაპიტალის შემცირება	(2,780,303)	-	(2,780,303)
პერიოდის შედეგი	-	1,060,771	1,060,771
31-დეკ-2022	1,730,963	4,929,146	6,660,109

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 28 თებერვალს.

დირექტორი:

კახაბერ იდამე

მთავარი ბუღალტერი:

ნოდარ ჩოგოვაძე

გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

შპს იმერ-გლასს კომპანი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არაპირდაპირი მეთოდი

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	1,060,771	1,706,312
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	194,207	99,189
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(325,965)	(77,695)
სხვა შემოსავალი	(297,111)	(111,251)
ფინანსური ხარჯი	449,915	232,379
ფინანსური შემოსავალი	(818)	(3,576)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,080,999	1,845,358
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(340,073)	198,513
გაცემული ავანსების (ზრდა)/შემცირება	695,811	(712,528)
მიღებული ავანსების (ზრდა)/შემცირება	265,176	(313,678)
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(481,498)	499,465
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(389,502)	(910,055)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	131,650	219,763
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	962,563	826,838
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(228,245)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	962,563	598,593
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,965,277)	(1,285,556)
ცვლილება საინვესტიციო ქონებაში	(64,877)	(216,438)
დეპოზიტების (ზრდა)/შემცირება	818	3,576
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,029,336)	(1,498,418)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	-	(1,060,000)
სესხის მიღება	2,264,967	6,619,496
სესხის გადახდა	(1,853,770)	(4,921,939)
კაპიტალის ზრდა	3,363,496	3,152,000
კაპიტალის შემცირება	(2,780,303)	(2,710,000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	994,390	1,079,557
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროსო სხვაობის ეფექტი	(6,107)	(104,901)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(78,490)	74,831
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	167,211	92,381
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	88,721	167,212

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 28 თებერვალს.

დირექტორი:

კახაბერ იდაძე

მთავარი ბუღალტერი:

ნოდარ ჩოგოვაძე

გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

შპს იმერ-გლასს კომპანი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	4,418,360	2,639,991	1,453,323
არამატერიალური აქტივები		460	760	1,060
საინვესტიციო ქონება	5	738,165	680,288	463,850
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,156,986	3,321,039	1,918,233
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	88,721	167,212	92,381
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,364,341	934,096	1,130,802
გაცემული ავანსები	8	80,369	776,180	63,652
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	5,873,912	5,484,409	4,574,354
		7,407,343	7,361,896	5,861,188
სულ აქტივები		12,564,329	10,682,935	7,779,421
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	10	4,103,968	4,038,177	2,403,956
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,103,968	4,038,177	2,403,956
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	11	306,646	41,470	355,148
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	450,655	945,495	442,903
საგადასახადო ვალდებულება	13	772,750	641,101	421,337
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	10	270,199	548	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,800,251	1,628,613	1,219,388
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	1,730,963	1,147,770	705,770
გაუნაწილებელი მოგება		4,929,147	3,868,375	3,450,308
სულ კაპიტალი		6,660,109	5,016,145	4,156,078
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,564,329	10,682,935	7,779,421

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 28 თებერვალს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

კახაბერ იდაძე

ნოდარ ჩოგოვაძე



გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

შპს იმერ-გლასს კომპანი
სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	15	9,802,127	9,924,847
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16	(8,125,611)	(7,538,839)
საერთო მოგება		1,676,516	2,386,008
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(776,670)	(638,915)
ფინანსური ხარჯი		(449,915)	(232,379)
ფინანსური შემოსავალი		818	3,576
სხვა შემოსავალი	18	297,111	111,251
სხვა ხარჯი		(13,054)	(923)
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	19	325,964	77,695
წლის სრული შემოსავალი მოგების გადასახადამდე		1,060,771	1,706,312
მოგების გადასახადი		-	(228,245)
წლის სრული შემოსავალი		1,060,771	1,478,067

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 28 თებერვალს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

კახაბერ იდამე

ნოდარ ჩოგოვაძე



გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

შპს იმერ-გლასს კომპანი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
01-იან-2020	255,770	3,552,773	3,808,543
კაპიტალის ზრდა	1,465,000	-	1,465,000
კაპიტალის შემცირება	(1,015,000)	-	(1,015,000)
დივიდენდი	-	(650,000)	(650,000)
პერიოდის შედეგი	-	547,536	547,536
31-დეკ-2020	705,770	3,450,308	4,156,078
კაპიტალის ზრდა	3,152,000	-	3,152,000
კაპიტალის შემცირება	(2,710,000)	-	(2,710,000)
დივიდენდი	-	(1,060,000)	(1,060,000)
პერიოდის შედეგი	-	1,478,067	1,478,067
31-დეკ-2021	1,147,770	3,868,375	5,016,145
კაპიტალის ზრდა	3,363,496	-	3,363,496
კაპიტალის შემცირება	(2,780,303)	-	(2,780,303)
პერიოდის შედეგი	-	1,060,771	1,060,771
31-დეკ-2022	1,730,963	4,929,146	6,660,109

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 28 თებერვალს.

დირექტორი: 
 მთავარი ბუღალტერი: 

კახაბერ იდაძე
 ნოდარ ჩოგოვაძე



გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

შპს იმერ-გლასს კომპანი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არაპირდაპირი მეთოდი

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	1,060,771	1,706,312
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	194,207	99,189
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(325,965)	(77,695)
სხვა შემოსავალი	(297,111)	(111,251)
ფინანსური ხარჯი	449,915	232,379
ფინანსური შემოსავალი	(818)	(3,576)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,080,999	1,845,358
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(340,073)	198,513
გაცემული ავანსების (ზრდა)/შემცირება	695,811	(712,528)
მიღებული ავანსების (ზრდა)/შემცირება	265,176	(313,678)
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(481,498)	499,465
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(389,502)	(910,055)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	131,650	219,763
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	962,563	826,838
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(228,245)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	962,563	598,593
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,965,277)	(1,285,556)
ცვლილება საინვესტიციო ქონებაში	(64,877)	(216,438)
დეპოზიტების (ზრდა)/შემცირება	818	3,576
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,029,336)	(1,498,418)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	-	(1,060,000)
სესხის მიღება	2,264,967	6,619,496
სესხის გადახდა	(1,853,770)	(4,921,939)
კაპიტალის ზრდა	3,363,496	3,152,000
კაპიტალის შემცირება	(2,780,303)	(2,710,000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	994,390	1,079,557
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(6,107)	(104,901)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(78,490)	74,831
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	167,211	92,381
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	88,721	167,212

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 28 თებერვალს.

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

კახაბერ იდაძე

ნოდარ ჩოგოვაძე

გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-7.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმერ-გლასს კომპანი“ („შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412676475), დაარსებულია საქართველოში. კომპანიის დაარსების თარიღია 11/03/2011. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის ქუჩა, N20, ბინა N67

შპს „იმერ-გლასს კომპანი“-ს 100%-იანი წილის მფლობელია კახაბერ იდამე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „იმერ-გლასს კომპანი“-ს დირექტორი იყო კახაბერ იდამე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მინის, რკინისა და მათთან დაკავშირებული ნაწარმის მომხმარებლისთვის მიწოდება.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს შემდეგი სახის პროდუქციას:

- მინა-პაკეტი
- ლამინირებული მინა
- უსაფრთხო განმტკიცებული მინა
- მოღუნული მინა
- გალვანიზირებული ფოლადის პროფნასტილი
- ფარდა-ქალუზებს
- ალუმინის კარ-ფანჯრებს
- მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს
- ალუმინის კარ-ფანჯრების პროფილებს და აქსესუარებს
- მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების პროფილებს და აქსესუარებს
- ლითონის თერმულ შეღებვას (კარები, ჭიშკარი, მოაჯირი და ა.შ)
- ბუნებრივ და ხელოვნურ ქვებს (გრანიტი, მარმარილო, კვარცი)
- ალუმინის და მინის მოაჯირებს
- დუშკაბინებს
- ფურცლოვან მინებს

კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობითა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სამომავლო, ფულადი ნაკადების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ფასდება გარიგების ფასით, ხოლო ისეთი მოთხოვნები, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და

სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ცვეთისთვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	40-50
მანქანა-დანადგარები	2-20
სატრანსპორტო საშუალებები	5-16
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	3-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონება რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზანს ერთად, და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

ცვეთის აღიარება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. პროგნოზირებული სასარგებლო გამოყენების ვადები, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, და ნებისმიერი ცვლილება აისახება პროგნოზებში პერსპექტიულად. სასარგებლო ვადაა 10 წელი.

თუ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რომ საინვესტიციო ქონება შესაძლოა იყოს გაუფასურებული, კომპანია აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ჩამოიწერება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდიდება და თუ შესაძლებელია დანახარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტის და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე დაიწყებს საინვესტიციო ქონების გამოყენებას საკუთარ საოპერაციო საქმიანობაში, ასეთი ქონება გადადის საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს შემოსავლები მინის წარმოებიდან და შემდგომ მინიდან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების

გათვალისწინებით გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები.

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული ნასესხები სახსრებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების ანაზღაურებები, ბონუსები და სხვა სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ.

მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საანგარიშგებო პერიოდში გაკეთებული შეფასებები გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება. მარაგების გაუფასურების შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. გაუფასურების დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დამკველების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს სასაქონლო მატერიალური მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა. კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვლილისა და ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობა	მანქანა დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება								
ბალანსი 01.01.2021	337,637	474,616	554,558	19,516	7,151	408,385	4,594	1,806,457
შეძენა	-	-	995,890	3,680	1,437	180,527	6,526	1,188,059
ანგარიშებზე	-	(3,279)	995	(682)	-	-	(539)	(3,505)
გადატანა	-	(2,565)	-	-	-	-	-	(2,565)
ჩამოწერა	-	103,567	-	-	-	-	-	103,567
ბალანსი 31.12.2021	337,637	572,339	1,551,443	22,514	8,588	588,912	10,580	3,092,013
შეძენა	199,000	-	1,602,003	1,656	-	112,287	7,664	1,922,609
ჩამოწერა	-	(1,795)	-	-	-	(36,522)	-	(38,317)
კაპიტალიზაცია	-	81,584	-	-	-	-	-	81,584
ბალანსი 31.12.2022	536,637	652,129	3,153,446	24,170	8,588	664,677	18,244	5,057,890
აკუმულირებული ცვეთა								
ბალანსი 01.01.2021	-	-	(251,173)	(8,378)	(3,286)	(88,703)	(1,594)	(353,134)
ცვეთა	-	-	(57,347)	(1,676)	(720)	(37,858)	(1,287)	(98,888)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
ტრანზიტი	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2021	-	-	(308,520)	(10,054)	(4,006)	(126,561)	(2,881)	(452,022)
ცვეთა	-	(16,000)	(117,429)	(2,413)	(819)	(48,659)	(2,187)	(187,507)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	-	(16,000)	(425,949)	(12,467)	(4,825)	(175,220)	(5,068)	(639,529)
ნარჩენი ღირებულება								
ნარჩენი ღირებულება 01.01.2021	337,637	474,616	303,385	11,138	3,865	319,682	3,000	1,453,323
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	337,637	572,339	1,242,923	12,460	4,582	462,351	7,699	2,639,991
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	536,637	636,129	2,727,497	11,703	3,763	489,457	13,176	4,418,361

სესხის უზრუნველყოფაში ჩადებულია მიწისა და შენობა-ნაგებობების ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებები.

5. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობა	სულ
ისტორიული ღირებულება			
ბალანსი 01.01.2021	97,267	366,583	463,850
შეძენა	-	-	-
ანგარიშებზე გადატანა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
კაპიტალიზაცია	-	216,438	216,438
ბალანსი 31.12.2021	97,267	583,021	680,288
შეძენა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
კაპიტალიზაცია	-	64,877	64,877
ბალანსი 31.12.2022	97,267	647,898	745,165
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 01.01.2021	-	-	-
ცვეთა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ტრანზიტი	-	-	-
ბალანსი 31.12.2021	-	-	-
ცვეთა	-	(7,000)	(7,000)
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	-	(7,000)	(7,000)
ნარჩენი ღირებულება			
ნარჩენი ღირებულება 01.01.2021	97,267	366,583	463,850
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	97,267	583,021	680,288
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	97,267	640,898	738,165

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	9,880	27,905	4,007
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	41,724	104,906	80,520
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	37,117	34,401	7,853
	88,721	167,212	92,381

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,364,341	934,096	1,130,802
ხანდაზმული მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	148,098	148,098	148,098
უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი	(148,098)	(148,098)	(148,098)
	1,364,341	934,096	1,130,802

ცხრილის სახით იხილეთ დეტალური ინფორმაცია უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვის შესახებ:

	თანხა
31 დეკემბერი 2020	(148,098)
უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვის აღიარება	-
31 დეკემბერი 2021	(148,098)
უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვის აღიარება	-
31 დეკემბერი 2022	(148,098)

8. გაცემული ავანსები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	80,369	776,180	63,652
	80,369	776,180	63,652

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
საქონელი	5,554,202	5,343,492	4,303,119
ობიექტი	298,149	122,251	252,419
მზა პროდუქცია	20,644	17,717	17,447
საწვავი	918	949	1,369
	5,873,912	5,484,409	4,574,354

დეტალური ინფორმაცია საქონლის შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
ალუმინების საწყობი	1,600,990	1,363,851	1,274,935
პლასტმასის საწყობი	829,461	1,067,864	-
მარმარილოების და გრანიტების საამქრო	688,819	681,785	984,843
გუგუნავას საწყობი	607,757	712,005	1,023,818
მინების საწყობი	492,750	516,032	491,383
ნაწრთობი მინების საამქრო	465,998	-	-
ალუმინის კარ-ფანჯრების საამქრო	240,962	242,965	163,166
სახურავების საამქრო	193,529	239,069	274,531
სლაიდების, გოფრების და აივნის სისტემების საამქრო	169,159	-	-
მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების საამქრო	164,149	147,163	70,056
ქვის საწყობი	77,989	352,004	121
რკინის საამქრო	12,142	10,811	10,326
სხვა	10,497	9,942	9,942
	5,554,202	5,343,492	4,303,119

10. სასესხო ვალდებულება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	4,103,968	4,038,177	2,403,956
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	270,199	548	-
	4,374,167	4,038,724	2,403,956

სესხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ხელშეკრულების ნომერი	სესხის გამცემი	ხელშეკრულების თანხა	ფინანსური ხარჯი	სესხის მიღების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ნაშთი 31.12.2022
TB.0606651	სს "ტერა ბანკი"	1,800,000	222,946	6/2/2021	2/6/2028	12.50%	GEL	1,680,000
N 1.9982	პროკრედიტ ბანკი	525,000	94,866	9/29/2021	9/21/2026	5.80%	USD	1,099,745
N 1.9980	პროკრედიტ ბანკი	250,000	35,195	9/29/2021	9/30/2024	5.80%	USD	408,184
N 1.10200	პროკრედიტ ბანკი	1,000,000	80,070	5/23/2022	5/10/2027	15%	GEL	916,039
N1.10342	პროკრედიტ ბანკი	100,000	16,838	9/29/2022	9/29/2023	5.80%	USD	270,200
			449,915					4,374,167

ხელშეკრულების ნომერი	სესხის გამცემი	ხელშეკრულების თანხა	ფინანსური ხარჯი	სესხის მიღების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ნაშთი 31.12.2021
TB.0606651	სს "ტერა ბანკი"	1,800,000	93,560	6/2/2021	2/6/2028	12.50%	GEL	1,770,000
N 1.9261	პროკრედიტ ბანკი	353,000	29,234	11/13/2019	11/14/2022	6.80%	USD	-
N 1.9262	პროკრედიტ ბანკი	325,000	44,552	11/13/2019	11/13/2024	6.80%	USD	-
N 1.9618	პროკრედიტ ბანკი	200,000	33,046	12/11/2020	11/10/2025	6.80%	USD	-
N 1.9982	პროკრედიტ ბანკი	525,000	20,994	9/29/2021	9/21/2026	5.80%	USD	1,553,332
N 1.9980	პროკრედიტ ბანკი	250,000	10,993	9/29/2021	9/30/2024	5.80%	USD	715,393
			232,379					4,038,724

ხელშეკრულების ნომერი	სესხის გამცემი	ხელშეკრულების თანხა	ფინანსური ხარჯი	სესხის მიღების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ნაშთი 01.01.2021
N 1.9261	პროკრედიტ ბანკი	353,000	59,561	11/13/2019	11/14/2022	6.80%	USD	766,022
N 1.9262	პროკრედიტ ბანკი	325,000	63,588	11/13/2019	11/13/2024	6.80%	USD	992,109
N 1.9618	პროკრედიტ ბანკი	200,000	3,429	12/11/2020	11/10/2025	6.80%	USD	645,825
			126,578					2,403,956

11. მიღებული ავანსები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	306,646	41,470	355,148
	306,646	41,470	355,148

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
სავაჭრო ვალდებულებები	428,170	926,055	436,627
სხვა ვალდებულებები	22,486	19,439	6,276
	450,655	945,495	442,903

13. საგადასახადო ვალდებულება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
მოგების გადასახადი	614,565	714,405	486,159
საშემოსავლო გადასახადი	109,441	289,920	41,070
სხვა საგადასახადო ვალდებულება	10,019	1,068	4,998
დამატებული ღირებულების გადასახადი	(80,363)	(441,319)	(163,545)
ქონების გადასახადი	119,087	77,027	52,654
	772,750	641,101	421,337

14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით შეადგენს 705,770 ლარს. 2021 წლის განმავლობაში მოხდა კაპიტალის გაზრდა 3,152,000 ლარით და შემცირება 2,710,000 ლარით. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 1,247,770 ლარი. რაც შეეხება 2022 წელს, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 3,363,496 ლარით, ხოლო შემცირდა 2,780,303 ლარით. შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 1,730,963 ლარი.

15. ამონაგები

	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან ადგილობრივ ბაზარზე	9,823,119	9,876,358
შემოსავალი რეალიზაციიდან ექსპორტი	55,409	73,506
გაყიდული საქონლის ფასდათმობა და უკან დაბრუნება	(76,401)	(25,018)
	9,802,127	9,924,847

დეტალური ინფორმაცია გაყიდული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

დასახელება	2022	2021
გუგუნავას საწყობი	2,818,454	3,377,106
ობიექტები	1,529,613	1,951,300
ალუმინის კარ-ფანჯრების საამქრო	1,211,994	807,922
პლასტმასის საწყობი	1,194,701	862,682
მინების საწყობი	967,445	1,114,419
მარმარილოს და გრანიტების საამქრო	607,924	590,567
აქსესუარები	310,755	-
ალუმინების საწყობი	275,216	377,593
პლასტმასის კარ-ფანჯრების საამქრო	272,054	335,882
ნაწრთობი მინების საამქრო	204,422	-
სახურავების საამქრო	130,600	275,390
ქვის საწყობი	13,900	69,158
სხვა	59,323	51,825
მომსახურება	205,725	111,002
	9,802,127	9,924,846

16. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
გაყიდული/შემენილი საქონელი	7,187,644	6,768,776
სახელფასო ხარჯი	628,687	551,823
ცვეთის ხარჯი	117,429	57,347
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	162,103	98,659
წარმოებისთვის შემენილი მომსახურება	28,555	60,945
სხვა პირდაპირი ხარჯი	1,192	1,288
	8,125,611	7,538,839

17. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	265,497	168,414
სოციალური დანარიცხები	17,562	14,473
იჯარის ხარჯი	66,610	50,847
სხვა ხარჯი	85,261	74,512
კომუნიკაციის ხარჯი	21,277	152,397
დაზღვევის ხარჯი	16,189	14,112
რემონტის ხარჯი	50,577	44,670
ცვეთა და ამორტიზაცია	76,778	41,841
საკონსულტაციო ხარჯი	2,800	-
საბანკო ხარჯი	17,302	27,572
კომუნალური ხარჯი	40,674	19,016
საოფისე ხარჯი	10,887	6,688
მანქანა-დანადგარების ხარჯი	63,196	-
ქონების გადასახადის ხარჯი	42,060	24,373
	776,670	638,915

18. სხვა შემოსავალი

	2022	2021
სესხის პროცენტის თანადაფინანსება	297,111	111,251
	297,111	111,251

19. უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი

	2022	2021
ფული და ფულის ექვივალენტები	(6,107)	(104,901)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	90,172	1,807
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,341	(3,127)
სასესხო ვალდებულება	228,558	183,916
	325,964	77,695

20. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობებით სესხის უზრუნველყოფაში ჩადებულია მიწისა და შენობა-ნაგებობების ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებები.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

2021 წელს გაიცა დივიდენდი 1,060,000 ლარი.

დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალში განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

	თანხა
01-იან-2020	255,770
კაპიტალის ზრდა	1,465,000
კაპიტალის შემცირება	(1,015,000)
31-დეკ-2020	705,770
კაპიტალის ზრდა	3,152,000
კაპიტალის შემცირება	(2,710,000)
31-დეკ-2021	1,147,770
კაპიტალის ზრდა	3,363,496
კაპიტალის შემცირება	(2,780,303)
31-დეკ-2022	1,730,963

მენეჯმენტის ანაზღაურება

დირექტორის/დამფუძნებლის ანაზღაურება 2022 და 2021 წელს შეადგენს 21,735 ლარს.

22. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 28 თებერვალს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც საჭიროებს ანგარიშგებაში მითითებას, არ დაფიქსირებულა.

შპს „შპს იმერ-გლასს კომპანი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კომპანიის შესახებ.....	3
საქმიანობის მიმოხილვა.....	3
მმართველობა და სტრუქტურა	3
განვითარების გეგმები	6
ფინანსური რისკები	6

კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შპს იმერ-გლასს კომპანი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412676475), დარეგისტრირებულია საქართველოში. იგი დაარსდა 2011 წლის 11 მარტს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქალაქი ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის ქუჩა, N20, ბინა N67.

შპს „იმერ-გლასს კომპანი“-ის 100% წილის მესაკუთრე და დირექტორი არის კახაბერ იდაძე.

კომპანია მოღვაწეობს ვაჭრობის, წარმოების და მომსახურების სფეროებში.

კომპანია აღჭურვილია მაღალი ტექნოლოგიური მოწყობილობებით, რომელიც ხელს უწყობს მინის სრულყოფილ დამუშავებას და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მინის პროდუქტს.

2021 წელს კომპანიამ სუბსიდირების ფარგლებში მიიღო სესხი, რომელიც სრულად მოხმარდა ძირითადი საშუალებების შეძენას. სესხით შეძენილი მანქანა-დანადგარები ემსახურება უსაფრთხო განმტკიცებული მინის წარმოებას, მოღუნული მინის წარმოებას, ლითონის თერმულ შეღებვას.

საქმიანობის მიმოხილვა


კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მინის, რკინისა და მათთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოებასა და გაყიდვას.

შპს „იმერ-გლასს კომპანი“ მომხმარებელს სთავაზობს შემდეგი სახის პროდუქციას:

- მინა-პაკეტს
- ლამინირებულ მინას
- უსაფრთხო განმტკიცებული მინას
- მოღუნული მინას
- გაღვანიზირებული ფოლადის პროფნასტილს
- ფარდა-ჯალუზებს
- ალუმინის კარ-ფანჯრებს
- მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს
- ალუმინის კარ-ფანჯრების პროფილებს და აქსესუარებს
- მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების პროფილებს და აქსესუარებს
- ლითონის თერმულ შეღებვას (კარები, ჭიშკარი, მოაჯირი და ა.შ)
- ბუნებრივ და ხელოვნურ ქვებს (გრანიტი, მარმარილო, კვარცი)
- ალუმინის და მინის მოაჯირებს
- დუშკაბინებს
- ფურცლოვან მინებს

კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ძირითადად ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე.


მმართველობა და სტრუქტურა



ფინანსური მაჩვენებლები


2022 წელს კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი შეადგენდა 9,802,127 ლარს, ხოლო 2021 წელს - 9,924,847 ლარს.

2022 და 2021 წლებში კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:




*თანხები მოცემულია ლარში

2022 და 2021 წელს მიღებული შემოსავალი, რომელიც ჯამურად შეადგენდა 9,802,127 და 9,924,847 ლარს, სფეროების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:



კომპანიის საერთო მოგება 2022 წელს იყო 1,676,516 ლარი, ხოლო 2021 წელს 2,386,008 ლარი.

შპს „იმერ-გლასს კომპანის“ პერიოდის შედეგი 2022 წელს იყო 1,060,771 ლარი, ხოლო 2021 წელს 1,478,067 ლარი. 2022-2021 წლებში მიღებული პერიოდის შედეგი დიაგრამის სახით მოცემულია ქვემოთ:



*თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობით ანგარშგება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	01-იან-2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4,418,360	2,639,991	1,453,323
არამატერიალური აქტივები	460	760	1,060
საინვესტიციო ქონება	738,165	680,288	463,850
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,156,986	3,321,039	1,918,233
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	88,721	167,212	92,381
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,364,341	934,096	1,130,802
გაცემული ავანსები	80,369	776,180	63,652
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5,873,912	5,484,409	4,574,354
	7,407,343	7,361,896	5,861,188
სულ აქტივები	12,564,329	10,682,935	7,779,421
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	4,103,968	4,038,177	2,403,956
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	4,103,968	4,038,177	2,403,956
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	306,646	41,470	355,148
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	450,655	945,495	442,903
საგადასახადო ვალდებულება	772,750	641,101	421,337
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	270,199	548	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,800,251	1,628,613	1,219,388

მფლობელთა კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	1,730,963	1,147,770	705,770
გაუნაწილებელი მოგება	4,929,147	3,868,375	3,450,308
სულ კაპიტალი	6,660,109	5,016,145	4,156,078
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	12,564,329	10,682,935	7,779,421

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2022	2021
ამონაგები	9,802,127	9,924,847
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(8,125,611)	(7,538,839)
საერთო მოგება	1,676,516	2,386,008
ადმინისტრაციული ხარჯები	(776,670)	(638,915)
ფინანსური ხარჯი	(449,915)	(232,379)
ფინანსური შემოსავალი	818	3,576
სხვა შემოსავალი	297,111	111,251
სხვა ხარჯი	(13,054)	(923)
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	325,964	77,695
წლის სრული შემოსავალი მოგების გადასახადამდე	1,060,771	1,706,312
მოგების გადასახადი	-	(228,245)
წლის სრული შემოსავალი	1,060,771	1,478,067

განვითარების გეგმები

კომპანია ამ ეტაპზე არ ფიქრობს ახალი ბაზრების მოძიებას და ექსპორტზე გატანას. მთავარი მიზანია ხარისხიანი პროდუქცია მივაწოდოთ არსებულ მომხმარებლებს და შევთავაზოთ მათ ინოვაციები.

2021 წელს შევიძინეთ ისეთი მანქანა-დანადგარები, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს დავამზადოთ მინა-პაკეტი, უსაფრთხო მინა და შევკვრათ ალუმინის კარ-ფანჯრები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საფინასო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანგარიშგების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

პროდუქციის რეალიზაციისას ძირითადი გადახდის პირობა არის ავანსი ან გარანტიით უზრუნველყოფილი მომდევნო გადახდა. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების შემთხვევაში კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 28 თებერვალს შემდეგი პირის მიერ:

მპს „იმერ-გლასს კომპანის“-ის დირექტორი:

კახაბერ ილაძე _____

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 28 თებერვალს შემდეგი პირის მიერ:

შპს „იმერ-გლასს კომპანის“-ის დირექტორი:

კახაბერ იდაძე

